სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე და ნეოგრეცისტიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად თსუ-ს რექტორის 2024 წლის 6 სექტემბრის №237/01-01 ბრძანების შესაბამისად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 ოქტომბრის №14 სხდომის ოქმის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **24 ოქტომბერი 2024 წ.**

17:00 საათი, თსუ VIII კორპუსი, აუდიტორია № 221

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან ხუთივე წევრი:

1. ნანა ტონია - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მედეა აბულაშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ეკატერინე კობახიძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. მარინე გიორგაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (კომისიის წევრი);
5. ზაზა ხინთიბიძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი);

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების (2 საშტატო ერთეული, კატეგორია“ა“) და ნეოგრეცისტიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (1 საშტატო ერთეული, კატეგორია „ა“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ნანა ტონიას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე** ასოცირებული პროფესორის 2 საკონკურსო თანამდებობაზე („ა" კატეგორია) საბუთები შემოიტანა ორმა კანდიდატმა - მანანა ფხაკაძემ და გიორგი უგულავამ, ხოლო **კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ნეოგრეცისტიკის კათედრაზე** ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა" კატეგორია) საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - ანა ჩიქოვანმა.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, სამი კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

მანანა ფხაკაძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ მანანა ფხაკაძე უკვე იკავებდა კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას და ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის უკვე დაბეჭდილი პუბლიკაციები და თარგმანები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში

მონაწილეობა აქვს მიღებული 15 სამეცნიერო კონფერენციაში; არის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი, არის არაერთი საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების რეცენზენტი, დოქტორანტთა კვლევითი პროექტებისა და სემინარების ხელმძღვანელი და რეცენზენტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სამეცნიერო პუბლიკაციებით, თარგმანებით და სამეცნიერო კვლევებით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და დასაბუთებულად განმარტავს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, საკუთარი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. მანანა ფხაკაძე არის ჯანსაღი საზოგადოებრივი და აკადემიური ღირებულებების, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კადრი, რომლის შენარჩუნება საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითარებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გიორგი უგულავამ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ გიორგი უგულავა უკვე იკავებდა კლასიკური ფილოლოგიის კათედრის მოწვეული პროფესორის და თსუ მეცნიერ-მკვლევარის პოზიციას და ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და

შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის უკვე დაბეჭდილი პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული 13 სამეცნიერო კონფერენციაში; არის სახელმძღვანელოების ავტორი, საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების მონაწილე, რამდენიმე საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების რეცენზენტი, დოქტორანტთა კვლევითი პროექტებისა და სემინარების რეცენზენტი.

უცხოეთის ცენტრებთან ურთიერთობის გამოცდილებით, საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებში ჩართულობით და კონფერენციებში მონაწილეობით, სამეცნიერო პუბლიკაციებითა და მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი როგორც საკონკურსო პროფილი ისე დასაბუთებული მსჯელობა, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, საკუთარი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. არის მიზანდასახული და აქვს სრულიად რეალისტური სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. არის ჯანსაღი საზოგადოებრივი და აკადემიური ღირებულებების, ახალგაზრდა და მზარდი პოტენციალის მქონე კადრი, რომლის მიღება საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითარებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

ანა ჩიქოვანმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ანა ჩიქოვანი უკვე იკავებდა ნეოგრეცისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას და ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც ნეოგრეცისტიკის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის უკვე დაბეჭდილი პუბლიკაციები და თარგმანები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული 11 სამეცნიერო კონფერენციაში; არის არაერთი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების რეცენზენტი, დოქტორანტთა კვლევითი პროექტებისა და სემინარების ხელმძღვანელი და რეცენზენტი.

საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სამეცნიერო-კვლევით გრანტებში ჩართულობით, სამეცნიერო პუბლიკაციებით, თარგმანებით და სამეცნიერო პოტენციალით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეუძლია შეიტანოს დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, საკუთარი კვლევის თემატიკითა და კონცეფციით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარები, მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს საფუძვლიანი საგნობრივი ცოდნა და საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის სათანადო გამოცდილება. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. არის ჯანსაღი საზოგადოებრივი და აკადემიური ღირებულებების, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კადრი, რომლის შენარჩუნება საუნივერსიტეტო სივრცეში ემსახურება უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითარებას. შესაძლებლობა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მხარი დაუჭირა მანანა ფხაკაძის, გიორგი

უგულავასა და ანი ჩიქოვანის კანდიდატურებს. საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან კონკურსანტების განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციებთან. კონკურსანტების მანან ფხაკაძისა და გიორგი უგულავას სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა დაეხმარება კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევაში; ხოლო ანი ჩიქოვანის სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო პოტენციალი ხელს შეუწყობს და ნეოგრეცისტიკის კათედრის სამეცნიერო-სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას. კონკურსანტების მიერ შემოთავაზებული მეთოდური მასალები მნიშვნელოვანი წინაპირობაა სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარების კუთხით; კლასიკური ფილოლოგიის და ნეოგრეცისტიკის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო რეაკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში მათ მიერ შემოტანილი ახალი სალექციო კურსები გამოირჩევა ახალი თანამედროვე მიდგომებითა და ინტერდისციპლინური ხედვით და სტუდენტებს თეორიულად და პრაქტიკულად შეასწავლის კლასიკური ენებისა და ანტიკური ლიტერატურის, ახალი ბერძნული ენისა და ლიტერატურის აქტუალურ თემებსა და საკვანძო საკითხებს. კონკურსანტებმა ინსტიტუტში საქმიანობის მანძილზე თავი გამოავლინეს, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებმა და დაიმსახურეს სტუდენტებისა და კოლეგების პატივისცემა.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების (2 საშტატო ერთეული, კატეგორია"ა") სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდნენ პრეტენდენტები: მანანა ფხაკაძე, გიორგი უგულავა;

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში და ნეოგრეცისტიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (1 საშტატო ერთეული, კატეგორია „ა") სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა ანი ჩიქოვანი;

3. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:	/პროფ. ნანა ტონია/
კომისიის მდივანი:	/ასოც.პროფ. ეკატერინე კობახიძე/
კომისიის წევრები:	/პროფ. მარინე გიორგაძე/
	/ასოც.პროფ. მედეა აბულაშვილი/
	/ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე/

თარიღი: 24. 10. 2024